საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2150 2015 წლის 6 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ქ. რუსთავის №1 დიაგნოსტიკური ცენტრისათვის“ მოძრავი ქონების უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №116 დადგენილებით დამტკიცებული „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის („C ჰეპატიტის“ სკრინინგისა და ღვიძლის დაავადებათა დიაგნოსტიკისათვის აპარატურის შესყიდვა“) კომპონენტის ფარგლებში შესყიდული, ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული ულტრაბგერითი აპარატი „EPIQ 7G“ უსასყიდლოდ, 5 წლის ვადით, თხოვების ფორმით გადასცეს შპს „ქ. რუსთავის №1 დიაგნოსტიკურ ცენტრს, C ჰეპატიტით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობისა და ინფექციის გავრცელების

შემცირების, დაავადების პრევენციაზე, დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესრულების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს ქონების გადაცემის მიზნით ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი

N	დაწესებულება	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	სერიული ნომერი	ერთეულის ფასი (ლარი)	თანხა (ლარი)
1	შპს,,ქ. რუსთავის №1 დიაგნოსტიკური ცენტრი“	ულტრაბგერითი აპარატი ,,EPIQ 7G”	ცალი	1	US 315 BOO79	140000.00	140000.00